პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 177 (5467)

1975 წ. 6 სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიკითხეთ:

„დიდი ილია ამბობდა: „თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე".

მე-2 გვ.

„ასევე ცუდად, უპასუხისმგებლოდ ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა მატჩი საკუთარ მინდორზე თურქეთის „ტრაბზონსპორთან" და ამ სუსტ გუნდთანაც წააგეს".

მე-3 გვ.

„...მთავარ მეტოქედ მიგვაჩნია საბჭოთა მოჭიდავეების ბრწყინვალე გუნდი".

მე-4 გვ.

ჩვენი მომავალი ჩემპიონები

რესპუბლიკა „სპარტა"

სწორედ ასე ეძახიან ელცში (ლიპეცკის ოლქი) ძიუდოს და სამბოს სკოლას. ხუთასმა ბიჭმა სწავლის დაწყების დროს ფიცი დადო: „საზეიმოდ გპირდებით, რომ ღირსეულად ვატარებთ „სპარტის" სახელს, ვიქნებით სამაგალითონი სწავლაში, შრომაში, დისციპლინის დაცვაში".

სკოლას ხელმძღვანელობს ქარხანა „ელტის" ყოფილი ზეინკალი, ამჟამად რსფსრ-ს დამსახურებული წვრთნელი ალექსანდრე სოკოლოვი. თვით იგი ძიუდოს და სამბოს ენთუზიასტი გახდა საბჭოთა არმიაში სამსახურის პერიოდში. მშობლიურ ქარხანაში არმიიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრემ ახალგაზრდობასთან დაიწყო მუშაობა. საწარმოში მოეწყო საუცხოო დარბაზი საწვრთნელი მეცადინეობებისთვის, შეიძინეს კოსტიუმები, აღჭურვილობა.

სოკოლოვის თითქმის ყველა პირველი მოწაფე სპორტის ოსტატი გახდა, ნ. კურბაევმა, ე. და ს. ბაბანოვებმა მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. ახლა ყველა მწვრთნელად მუშაობს „სპარტის" რესპუბლიკაში.

სკოლა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ქალაქის ბავშვები ცდილობენ კარგი სწავლით, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობით, სამაგალითო ქცევით მოიპოვონ „ძია საშასთან" მეცადინეობის უფლება.

მ. გოლაჩოვი.
(საქდესის კორ.).

ლიპეცკი.

სანადიროდ... მიმღებით

მოლდავეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ტყეში წარმატებით „ნადირობისთვის" სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 25 წლის ბაქოელმა ვ. პროშკინმა. რამდენიმე დღეში მან 15 „მელა" „მოინადირა" ისე, რომ ერთი გასროლაც არ დასჭირვებია. მისი ერთადერთი იარაღი იყო მინიატურული მოკლეტალღიანი რადიომიმღები, 10-კილომეტრიან რთულ ტრასაზე მელების როლს ასრულებდნენ ოსტატურად შენიღბული რადიოგადამცემები.

ვალენტინ პროშკინი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მძლეოსნობით და რადიოთი. სწორედ ამ გატაცებამ მოიყვანა იგი „მელებზე მონადირეთა" სექციაში, რომლებსაც წარმატების მოპოვებისთვის სტაიერი კროსმენის თვისებებიც სჭირდებათ და რადიოსაკონსტრუქტორო საქმის ოსტატის წოდებაც.

არმიაში სამსახურმა ხელი შეუწყო პროშკინის გატაცების გაღვივებას. ახალგაზრდა სპორტსმენმა გაიმარჯვა სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის პირველობებში, შეიარაღებული ძალებისა და საჰაერო თავდაცვის ჯარების ჩემპიონატებში. წლეულს მან მოიპოვა სპარტაკიადის ორი ბრინჯაოს მედალი, აქედან ერთი — დიდი — მრავალჭიდში წარმატებისთვის. ბაქოელი სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებში კანდიდატად ჩარიცხეს. მისი მეუღლე ტატიანა აზერბაიჯანში ცნობილი „მელებზე მონადირეა", სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

ვ. მოროზკოვი.
(საქდესის კორ.).

ბაქო.

ყაბარდო-ბალყარეთი — ტურისტთა და მთამსვლელთა საყვარელი ადგილი

საბჭოთა და უცხოელ ტურისტთა და მთამსვლელთა შორის დიდად პოპულარულია ყაბარდო-ბალყარეთი — ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი მხარე. აქ შექმნილია ბევრი ტურისტული ბაზა, მთამსვლელთა ბანაკი. ახლახან გაიხსნა ახალი სასტუმრო „ჩეგეტი".

• • •

სურათებზე: ტურბაზა „ტერსკოლი"; მთამსვლელები სალაშქროდ ემზადებიან; აქ ისვენებენ მოსკოველი სტუდენტები.

საქდესის ფოტოები.

საქდესი გვატყობინებს

გზები ზევით...

დონეცკელ მთამსვლელთა ჯგუფმა სამხრეთ-დასავლეთ პამირში კლუბ „დონბასის" ვიმპელები დატოვა მაიაკოვსკიზე, აკმუზე და კიდევ ხუთ უსახელო მწვერვალზე (უნდა აღინიშნოს, რომ „დონბასი" 10 ათასზე მეტ მთამსვლელს აერთიანებს).

გუნდს მეთაურობდა დონეცკის გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის პარტიის უფროსის მოადგილე, სპორტის ოსტატი ვ. რუსანოვი. გუნდის მეორე წევრს პეტრე ქელობოტკინს სამართლიანად ეძახიან ორგზის ოსტატს: იგი გორკის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მიწისქვეშა უბნის სამთო ოსტატიცაა და მთამსვლელობაში სპორტის ოსტატიც. მან საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო „თოვლის ჯიქის" წოდება. ეს წოდება ენიჭებათ მხოლოდ იმ მთამსვლელებს, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ოთხივე „შვიდათასიანს" დაიპყრობენ.

ამ ზაფხულში სასიმაღლო ასვლების დონეცკელი ოსტატები მარტო პამირში როდი იყვნენ. მეშახტის დღისთვის დაამთავრა ლაშქრობა კავკასიის მთებში დიდმა ჯგუფმა კიდევ ერთი „თოვლის ჯიქის", კლუბ „დონბასის" თავმჯდომარის, სამთო ტექნიკოსის ბ. სივცოვის მეთაურობით. 600-ზე მეტმა კაცმა შვებულება მთამსვლელთა ბანაკებში გაატარა.

დონეცკი.

...და ქვევით

ყირგიზეთის სპელეოტურისტთა ექსპედიცია თითქმის ერთ თვეს იყო კირიკ-თაუს (ორმოცი მთა) პლატოზე, სამარყანდის მახლობლად. სამი წლის წინათ კიეველმა სპელეოლოგებმა აქ ძალიან საინტერესო მღვიმეები და შახტები აღმოაჩინეს. ახლა ყირგიზეთის ტურისტებმაც მიაკვლიეს ახალ, დღემდე უცნობ ადგილებს.

ერთ-ერთ, დასაპყრობად ყველაზე რთულ შახტს სსრ კავშირ — ამერიკის კოსმოსური ექსპერიმენტის პატივსაცემად „ეპასი" უწოდეს. სპელეოლოგებს დღე-ღამეზე მეტი დასჭირდათ, რათა ფსკერამდე — 110 მეტრ სიღრმეზე ჩაეღწიათ. მეორე, 600-მეტრიან მღვიმეს „ყირგიზეთი" ეწოდა.

სულ კირიკ-თაუზე დაპყრობილია 70-მდე მიწისქვეშა ბუნებრივი სამალავი, საიდანაც ერთ-ერთი საბჭოთა კავშირში უღრმესი მღვიმე 540-მეტრიანია.

ფრუნზე.

აფრებით... უდაბნოში

უჩვეულო მოგზაურობა მოაწყვეს რიგის სამედიცინო ინსტიტუტის ოპერატიული ქირურგიის კათედრის დოცენტმა რ. გერკემ და ლატვიის დედაქალაქის ერთ-ერთი საწარმოს მუშამ ო. იაკუშონოკმა. საკუთარი ხელით აგებული ბორბლებიანი იახტით „ინროთი" მათ უდაბნოში აფრებით გაიარეს 600 კილომეტრი — უზბეკეთის დაბა უსტიურტის კომსომოლსკიდან არალის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ...

როალდ გერკე ორმოცდაერთი წლისაა. იგი უკვე თხუთმეტი წელია შვებულებების დროს იახტით მოგზაურობს საბჭოთა ქვეყნის ზღვებსა და მდინარეებზე. რამდენიმე წლის წინათ თავის მეუღლესთან ინტასთან —რიგის ერთ-ერთი კლინიკის მედიცინის დასთან ერთად ბელომორ — ბალტიის არხის გავლით იმოგზაურა აფრიანი ნავით ბალტიკიდან თეთრ ზღვაში, მერე კი სამდინარო სისტემებით — შავ ზღვაზე. ამ ლაშქრობისთვის ცოლ-ქმარ გერკეებს სპორტის ოსტატობა მიენიჭათ.

შარშან როალდმა აგო სიგრძით ოთხმეტრიანი იახტა, გაუკეთა მას მოტოციკლ „ვოსხოდის" და მოპედ „რიგის" ბორბლები, დაამაგრა ფართობით 20 კვ მეტრი საიმედო აფრა. ცოლ-ქმარი ყაზახეთის სოფელ ბეინეუში ჩაფრინდნენ. ნავი მატარებლით გაგზავნეს. ოჯახურმა ეკიპაჟმა, სადაც კაპიტანი როალდი იყო, მატროსი კი ინტა, პირველი ლაშქრობა მოაწყო ყაზახეთისა და უზბეკეთის სტეპებში.

ამ ზამთარში გერკეებმა რიგაში დაამუშავეს ახალი მარშრუტი, რომელსაც არალის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე უნდა გაევლო. ინტამ ვერ შეძლო მოგზაურობაში მონაწილეობა — მეორე ბიჭი შეეძინათ. როალდმა უდაბნოში თანამგზავრობა შესთავაზა თავის მეგობარს, რიგელ აფროსანს ოდგერტ იაკუშონოკს.

— ჩვენი სამკვირიანი მოგზაურობა განსაკუთრებით რთულ პირობებში ჩატარდა, — გვიამბობს რ. გერკე. — თუ შარშან ამინდი ხელს გვიწყობდა, ამ ზაფხულში ერთმანეთს ენაცვლებოდა ქარიშხალი და შტილი, აუტანელი სიცხე — თერმომეტრი ზოგჯერ ჩრდილში 45 გრადუსს უჩვენებდა. ოთხჯერ იახტა გადაგვიბრუნდა, მოგზაურობის ბოლოს კი ანძა გაგვიტყდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი ამოცანა შევასრულეთ და არალის სანაპიროს გასწვრივ 600 კილომეტრზე მეტი გავიარეთ.

გვერდითი ქარის დროს ნავი საათში 80 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებდა. მაგრამ შტილის პერიოდში რამდენიმე დღე ისე გავიდა, ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წავედით წინ. თან გვქონდა სასმელი წყალი, პური, ხორცის კონსერვები, ჩაი. არც აფთიაქი და ქირურგიული იარაღები დაგვავიწყებია. გზად ხშირად გვხვდებოდა შხამიანი გველები, მორიელები.

მიუხედავად შორეული მოგზაურობის სიძნელეებისა, ჩვენ დიდხანს გვემახსოვრება შუა აზიის სტეპებისა და უდაბნოების ბუნების სილამაზე, არალის ზღვის სანაპიროები. ეს იყო საუცხოო დასვენება და შესანიშნავი წრთობა.

რ. გერკე და ო. იაკუშონოკი რიგაში დაბრუნდნენ. დოცენტი შეუდგა მუშაობას ინსტიტუტში, იაკუშონოკმა კი აფროსანთა კლუბს მიაშურა რიგის ყურეში გამართულ რბოლებში მონაწილეობის მისაღებად.

გაისად შვებულების დროს გერკე აპირებს მოაწყოს თავისი ყველაზე შორეული მოგზაურობა: არალის ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ფინიში ყარა-ბოღაზ-გოლთან იქნება.

— ჩვენი აზრით, — თქვა „ინროს" კაპიტანმა, —უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირში შესაძლებელი იქნება შეჯიბრებების მოწყობა შორ მანძილებზე ბორბლებიანი იახტებით მოგზაურობაში. ეს სპორტის საუცხოო სახეობაა.

დ. გეფტერი.
(საქდესის კორ.).

რიგა.

ღირსეულად შევხვდეთ
სკკპ
XXV
ყრილობას!

ტურიზმისა და მთამსვლელობის მხარე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შარშან აგვისტოში მიიღეს დადგენილება „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

სხვა საკითხებთან ერთად ეს დადგენილება დიდ ამოცანებს სახავს სვანეთში ტურიზმის, მთამსვლელობისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, რის შესახებაც მოთხრობილია ამ წერილში.

სვანეთი, საქართველოს ეს ყველაზე მაღალმთიანი, ულამაზესი მხარე, განსაკუთრებით მისი ზემო ნაწილი, უძველესი დროიდან იქცევდა მოგზაურთა ყურადღებას. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემე, ვახუშტი ბატონიშვილი, ივანე ჯავახიშვილი...

დიდი ილია ამბობდა: „თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე“.

ჩვენს დროში სვანეთისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ვისაც ამ კუთხის შესახებ ცოტა რამ მაინც სმენია, ოცნებობს ესტუმროს მას, ნახოს „თოვლისა და კოშკების ზღაპრული მხარე“, სვან ხუროთმოძღვართა მიერ ნატიფად ნაშენი კულტურის ძეგლები, ჭედურობისა და ხეზე კვეთილობის უბადლო ნიმუშები, ხელნაწერთა უნიკალური კოლექციები, ბევრი სხვა ძვირფასი განძი, რაც მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად ისევ კოშკებსა და ეკლესიებს აბარია, რასაც პატრიოტული გულმოდგინებით იცავენ და ინახავენ.

რაც მთავარია, მათ სურთ ნახონ კავკასიის ქაღარა მთები, მისი ბუმბერაზი მწვერვალები: უშბა, შხელდა, თეთნულდი, შხარა და სხვები, რომლებიც თეთრ ქათქათა მარმარილოს სვეტებად შესდგომიან ზეცას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღორძინდა, წელში გაიმართა სვანეთი. სოფლები ხელახლა აშენდა, მოიფინა კულტურის, ჯანმრთელობის, განათლების კერებით, მშრომელთა კაპიტალური საცხოვრებელი სახლებით. ისტორიული მურყვამები (კოშკები) — წარსული შფოთიანი ცხოვრების უტყვი მოწმენი — მათს გვერდით მხოლოდ რელიქვიადაა შემორჩენილი.

დღეს სვანები თავდადებული შრომით ქმნიან კიდევ უფრო ნათელ ცხოვრებას.

ახლო მომავალში სვანეთს ვიხილავთ კიდევ უფრო ამაღლებულს, აშენებულს, დამშვენებულს. დადგენილება „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მაღალმთიანი სვანეთისთვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებაა. მასში ჩამოყალიბებულია რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

— დადგენილების განხორციელების შედეგად მესტია უახლოეს წლებში გადაიქცევა ტურიზმის, მთამსვლელობისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებულ მხარედ, — ამბობს პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბორის სარალიძე, რომელმაც პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში მიგვიწვია. იქ გამოფენილია მშენებლობათა პროექტები, ისინი შეიქმნა ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ შემოქმედებითს ლაბორატორიაში სპეციალურად სვანეთისთვის. პროექტებში დაცულია ძველი სვანური არქიტექტურული სტილი, თითოეული ნაგებობა შესანიშნავად ერწყმის აქაურ თვალწარმტაც პეიზაჟს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი მარმარილო, ფიქალი, გრანიტი და ნაირ-ნაირი ქვა, რითაც მდიდარია სვანეთი.

არქიტექტორთა ჩანაფიქრს ხორცი ესხმება: ხარაჩოები შემოეხსნა ტურისტული ბაზის „უშბის“ სამსართულიან შენობას. ტურბაზას აქვს ერთ და ორადგილიანი ნომრები და ლუქსები, რომლებიც ერთდროულად უმასპინძლებს 200-ზე მეტ ტურისტს. ცალკეა მოთავსებული კვების ბლოკი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, საბილიარდო, არის კლუბი, რომლისთვისაც უკვე შეიძინეს ინვენტარი და აღჭურვილობა. ეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ღია საცურაო აუზი.

„უშბა“ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილებს მოზღვავებულ ტურისტებს. საჭიროებამ მოითხოვა სოფელ მაზერის ღამის სათევის რეკონსტრუქცია და იგი დამოუკიდებელი ბაზა იქნება. შენდება ახალი საძილე კორპუსი, სასადილო, სხვა დამხმარე სათავსოები, სპორტული მოედნები. ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც კი საჭიროა თანამედროვე კომფორტული ბაზისთვის. მაზერის ტურისტული ბაზაც ერთდროულად ორასზე მეტ ტურისტს მოემსახურება.

ტურისტული ბაზების მშენებლობა გათვალისწინებულია სოფლებში ბეჩოსა და უშგულში, თითოეული 150-200 კაცისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ უშგულის ტურისტული ბაზა ევროპაში უმაღლეს წერტილზე იქნება. ეს სოფელი ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს, ბაზა შხარის მწვერვალის ძირას, მდინარე ენგურის სათავეში დაიდებს ბინას.

აშენდება, აგრეთვე, რამდენიმე ღამის სათევი, რომლებიც მიიღებენ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ ან უკან მიმავალ ტურისტებს. უკვე ეყრება საძირკველი სოფელ ტვიბერის ღამის სათევ კორპუსს, რომელიც 50 კაცისთვისაა გათვალისწინებული.

ამრიგად, მესტიის რაიონი დაიფარება ტურისტული ბაზების ქსელით, რომლებიც უამრავ საბჭოთა და უცხოელ სტუმარს მიიღებენ.

შემდგომ ეტაპზე ტურისტული ბაზების მშენებლობა კვლავაც გაგრძელდება. ასე თანდათანობით სვანეთი იქცევა ტურიზმის ერთ-ერთ აყვავებულ, მძლავრ კერად მთელ საბჭოთა ქვეყანაში.

სვანეთი მთამსვლელობის კერაა. სვანმა მთამსვლელებმა მეჩნე ხერგიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა, მაქსიმე გვარლიანმა, გოჯი ზურებიანმა დიდძალი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში. „კლდის ვეფხვმა“ მიხეილ ხერგიანმა ახალი ეტაპი შექმნა მთამსვლელობის ისტორიაში. მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

მესტიის რაიონის ახალგაზრდა მთამსვლელები წარმატებით აგრძელებენ დიდებულ სპორტულ მიღწევათა ჯაჭვს, თუმცა ეს მათ მეტისმეტად ძნელ პირობებში უხდებათ.

წარსულ წლებში, როცა რესპუბლიკაში სუფევდა თვითნებობის სულისკვეთება, ნაკრაში არსებული მთამსვლელთა ბანაკი ხელაღებით დაიშალა და იგი ლენტეხის რაიონში, აილამის მიდამოებში გადაიტანეს. მესტიელი ახალგაზრდები ბაზის გარეშე დარჩნენ. სხვა რაიონში, სხვის ბაზაზე კი ისინი მთელი დატვირთვით, ინტენსიურად ვერ ვარჯიშობენ.

მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმის შემდგენლებს ყოველივე ეს მხედველობიდან არ გამორჩენიათ. გეგმა ითვალისწინებს, აგრეთვე, ალპინისტური ბანაკის მშენებლობას, სადაც მარტო მესტიის რაიონის კი არა, ჩვენი რესპუბლიკის ასობით ახალგაზრდა მთამსვლელი გაივლის წვრთნას. ბანაკ „აილამასთან“ ერთად იგი დიდად შეუწყობს ხელს მამაცთა სპორტის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას.

სვანეთს ექნება, აგრეთვე, მძლავრი სამთო-სათხილამურო ბაზა — პანსიონატი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საბჭოთა კავშირში. პროექტის ავტორებს ყველაფერი კარგად გაუთვალისწინებიათ. პანსიონატი ერთდროულად ასზე მეტ მოთხილამურეს უმასპინძლებს. ბაზას ექნება 30-მეტრიანი ტრამპლინი ხელოვნური საფარით...

ტურიზმის, მთამსვლელობისა და სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარება მოითხოვს მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას, დიდი სამუშაოების შესრულებას.

ფართოვდება მესტია — ზუგდიდის საავტომობილო გზა. იგი სვანეთის სასიცოცხლო არტერიაა. მშენებლობის ტემპი მნიშვნელოვნად გაძლიერდა უკანასკნელ წლებში. გზის მშენებლები პირობას იძლევიან, რომ დანიშნულ დროში — 1977 წლისთვის მთლიანად დაამთავრონ იგი.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაკები მგზავრებს შეუფერხებლივ გადაიყვანენ მესტიაში ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, სოხუმიდან. არსებულ ავიახაზებს დაემატება პირდაპირი ავიახაზები თბილისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან.

სტუმრებს მოემსახურება, აგრეთვე, კინოთეატრი, რესტორანი, კულტურის, კავშირგაბმულობის სახლები, 150-საწოლიანი საავადმყოფო, სასტუმრო, რომელთა მშენებლობებს წელს ჩაეყარა საძირკველი და ხარაჩოები დღითი დღე მაღლა მიიწევს.

ახლახან დამთავრდა ხაიში — მესტიის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის შემწეობითაც წლეულს და გაისად განხორციელდება რაიონის მთლიანი ელექტრიფიკაცია. ზურულდის მაღალი მთის მწვერვალზე დაიდგა ტელესარეტრანსლაციო სადგური. სვანეთის სტუმრები არ მოიწყენენ: ნახავენ ტელეგადაცემებს.

ტურისტთა უკეთ მომსახურების მიზნით მთებსა და გორაკებს დასერავენ სამგზავრო, საჰაერო-საბაგირო გზები. დაპროექტებულია ოთხი ასეთი გზა.

ტურისტებს საინტერესო მოგზაურობა ელით ამ მხარეში. რამდენ საინტერესოს ნახავენ ისინი!

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მალე ახალ სამსართულიან შენობაში დაიდებს ბინას. იგი მდიდარია მნიშვნელოვანი, უნიკალური ექსპონატებით, რომლებიც მხარის უძველეს მაღალ კულტურაზე ღაღადებენ.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ დაბა მესტიაში შეისყიდა დიმიტრი მარგიანის საგვარეულო მაჩუბი (ძველი სვანური სახლი) თავისი კოშკით. იგი XVII საუკუნეშია აგებული. მიმდინარეობს სახლის რესტავრაცია. გაისიდან იგი ფართოდ გაუღებს კარს ათასობით ტურისტს. აქ ისინი გაეცნობიან ძველ სვანთა ყოფასა და ცხოვრებას.

ტურისტები დიდად ნასიამოვნები დარჩებიან, როცა ესტუმრებიან სვანეთის უძველესი სოფლის უშგულის ცენტრს — ჩაჟაშს. ეს სოფელი მაღლა ღრუბლებში, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს. ევროპაში იგი ყველაზე მაღალი დასახლებაა. შხარის მწვერვალის ძირში, იქ, სადაც მდინარე ენგური იბადება, გადაშლილია ეგზოტიკური სანახაობა. ჩაჟაში განთქმულია სვანურ კოშკთა სიმრავლით, სინატიფითა და თავისებურებებით. ყოველ კოშკს თავისი სახელი აქვს: თამარი, ლამარია, მიაგელი, დედაკოშკა... ეს სოფელი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა, გამოცხადებულია ნაკრძალად. ახლა აქ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს...

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სვანეთის ქაღარა მთებს არ ახსოვთ მშენებლობის ასეთი მძლავრი მაჯისცემა. რაიონის მშრომელები, რომლებიც ახლა კომუნისტთა დიდი ფორუმის — სკკპ XXV ყრილობისთვის ემზადებიან, პარტიისა და მთავრობის დიდ მზრუნველობას პატრიოტული შრომით უპასუხებენ.

მშენებლობათა ხარაჩოებზე ერთმანეთს ეჯიბრებიან რ. უშხვანის, მ. ავალიანის, ს. ფორჩელიანის ბრიგადები, რიგითი მშენებლები გ. ვიბლიანი, მ. გვარლიანი, ო. ცინდელიანი, კ. ხაფთანი, ბ. კვიციანი, ხ. უმხვანი, შ. ხარძიანი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა. ეს ადამიანები სპორტსმენები არიან — მთამსვლელთა ადგილობრივი კლუბის წევრები. სპორტი ეხმარება მათ შრომაში. ჩაუქი ბიჭები სწრაფად დაცოცავენ კედლებსა და ხარაჩოებზე, ოსტატურად აწყობენ ხიდებისა და ელექტროგადამცემი ხაზების ბურჯებს, აჰყავთ კედლები...

მშენებლობაზე მორიგეობენ რაიონის სოფლების მშრომელები. რომელი სოფლის წარმომადგენლებს არ ნახავთ სამშენებლო მოედნებზე. მათ შორის არიან ბეჩოელი თუ ლატალელი, იფარელი თუ ცხუმარელი, უშგულელი თუ კალელი მკლავმოუდლელი, მუხლჩაუხრელი ვაჟკაცები.

რაიონის სპორტული კოლექტივები მშენებლობებზე აწყობენ შაბათობებს. ამ საქმის თაოსანია რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გვარლიანი. იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს ჭაბუკებს.

გაივლის ცოტა დრო და სვანეთი დაიფარება ტურისტული ბაზებით, სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერებით. ამ ზღაპრულ კუთხეში საიდან არ მოვლენ რომანტიკის მოყვარულნი!

დ. ხიწაძე.

მესტიის რაიონი.

* * *

სურათებზე: უშბა; რაიონის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში გია მჭედლიანი და მესტიის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გვარლიანი.

თ. არჩვაძის ფოტოები.

ახალმოსახლენი

ბათუმი, 8 სექტემბერი. აქ შვიდ დღეს გაგრძელდა ოთხ შესარჩევ ტურნირში გამარჯვებულთა ფინალური შეჯიბრება ბალახის ჰოკეიში — სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგის ორი საგზურისთვის საინტერესო ბრძოლები გაჩაღდა. საბოლოოდ ეს საგზურები მოიპოვეს უსტ-კუტის „ვოლნიკმა“ და კემეროვოს „კუზბასმა“, რომლებიც გაისად პირველ ლიგაში ნოვოკუზნეცკის „ნეფტიანიკს“ და ლენინგრადის „ვოლნას“ შეცვლიან.

სიზრანი, 8 სექტემბერი. აქ გაიმართა პირველი მატჩი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებისთვის. ადგილობრივი „ტორპედო“ ანდიჟანის „მეხნატს“ შეხვდა. სიზრანელი ბალახის ჰოკეისტები „ცუდი“ მასპინძლები გამოდგნენ — ანგარიშით 3:1 სძლიეს სტუმრებს.

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

უმაღლესი ჯილდო — რუსეთის ფედერაციის გუნდს

მოსკოვი, 4 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თასი მიეკუთვნა რუსეთის ფედერაციის მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლექტივს, რომელმაც I საერთო გუნდური ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების წარმომადგენელთა შეჯიბრებაში.

სპორტის ამ სახეობების მთავარმა მსაჯთა კოლეგიამ დღეს განიხილა 26 ფინალური ასპარეზობის შედეგები. II ადგილის დაკავებისთვის მოსკოვის კოლექტივმა სააკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის თასი დაიმსახურა.

უკრაინის, ლენინგრადის, ესტონეთისა და ლატვიის ნაკრებ გუნდებს შესაბამისად III, IV, V და VI ადგილების დაკავებისთვის მიეკუთვნათ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თასები. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი
'75

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა
I ზონა

4 სექტემბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:0

კიროვაბადელ ფეხბურთელებს საკმაოდ კარგი მდგომარეობა აქვთ მიმდინარე გათამაშებაში და, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ იგი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ ბათუმის გუნდთან, რომელიც თამაშობდა დიდი ყურადღებით, მობილიზებულად, ენერგიულად.

„პროგრესის“ მეკარე ჰუსეინოვს პირველივე წუთებიდან მოუხდა თამაშში ჩაბმა. რამდენიმე უშედეგოდ დამთავრებული შეტევის შემდეგ ბათუმელებმა მაინც მიაღწიეს მიზანს: 21-ე წუთზე გათამაშდა კომბინაცია ჩიტაური — გორგილაძე — ქიქავა — ჩელებაძე. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი დაახლოებით 10 მეტრზე აღმოჩნდა კარიდან და ზუსტად დაარტყა.

უპირატესობას კვლავ მასპინძლები ფლობდნენ. ტაიმის დასასრულისთვის ესებუასგან მიღებული ბურთი ჩელებაძემ კარგ პოზიციაში გადასცა ხახუბიას, იგი წინ გაიჭრა და კიროვაბადელთა მცველი კადოევი იძულებული იყო ხელით ეთამაშა. პენალტი. ჩელებაძემ ზუსტად გამოიყენა იგი — 2:0.

დინამოელები შესვენების შემდეგაც შეწყობილად, კოლექტიურად მოქმედებდნენ და „პროგრესის“ კარში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს ხახუბიამ და კაჭარავამ. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ფეხბურთელის კაჭარავას კარგი დებიუტი.

ო. მურვანიძე.

„დინამო“ (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0

სტუმრად წაგებული მატჩების შემდეგ ზუგდიდის „დინამო“ კვლავ მძიმე მდგომარეობაშია და ბრძოლა უხდება II ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ამდენად, ერევნის გუნდთან მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მატჩის დასაწყისში რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, მე-20 წუთზე, კარგად გაითამაშეს ბურთი თუთბერიძემ და გადელიამ და ამ უკანასკნელმა თავით გაგზავნა იგი მეკარე ზარზარიანის კარში.

სტუმრებმა სცადეს პირველ ტაიმშივე აღედგინათ თანაფარდობა, რამდენიმე სახიფათო კონტრიერიშიც განახორციელეს, მაგრამ „დინამომ“ ზუსტად ითამაშა დაცვაში, შემდეგ კი კვლავ იერიშზე გადავიდა, რომლის დროსაც კარგი მომენტები ჰქონდათ ქვარაიას, ჭითანავას და სხვებს.

55-ე წუთზე გადელიამ გამოიყენა ქვარაიას გადაცემა, გავიდა სახიფათო პოზიციაში და სტუმრების კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ზუგდიდელ გადელიას და ერევნელ აჩიკიანს.

ბ. ალშიბაია.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

იმსჯელეს თბილისის „დინამოს“ შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ თავის გუშინწინდელ სხდომაზე განიხილა საერთაშორისო სარბიელზე, კერძოდ, ესპანეთის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში და თბილისში თურქეთის „ტრაბზონსპორთან“ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარუმატებელი გამოსვლების საკითხი.

კოლეგიის წინაშე ანგარიშით გამოვიდნენ დელეგაციის ხელმძღვანელი — თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ქველიაშვილი და გუნდის უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით მუშაობაში ნ. ახალკაცი.

აღინიშნა, რომ ესპანეთში გამართულ ტურნირებში თბილისის დინამოელები უწინ წარმატებით გამოდიოდნენ. კერძოდ, 1973 წელს უელვაში მათთან ერთად თამაშობდნენ ფეხბურთის სამყაროში განთქმული გუნდები „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი), მადრიდის „ატლეტიკო“, ლისაბონის „ბენფიკა“, დინამოელებმა კი შეძლეს დიდი წარმატების მოპოვება და „კოლუმბის თასის“ დაუფლება.

შარშან დინამოელები კვლავ მიიწვიეს ესპანეთში. ლას-პალმასში მათ კვლავ წარმატებით ითამაშეს და საპატიო II ადგილი დაიკავეს.

წლეულს კი უელვის საერთაშორისო ტურნირში თბილისის „დინამომ“ კრახი განიცადა: ბოლო IV ადგილზე დარჩა, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ გუნდის ხელმძღვანელობა და მოთამაშეები არასერიოზულად მიუდგნენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, არ გამოავლინეს ნამდვილი საბრძოლო თვისებები და დაივიწყეს, რომ შორეულ ესპანეთში ისინი არა მარტო თავიანთი კლუბის, არამედ მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ.

ასევე ცუდად, უპასუხისმგებლოდ ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა მატჩი საკუთარ მინდორზე თურქეთის „ტრაბზონსპორთან“ და ამ სუსტ გუნდთანაც წააგეს.

კოლეგიამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია თბილისის „დინამოს“ გამოსვლები ამ საერთაშორისო შეხვედრებში. გუნდის ხელმძღვანელობას მიეთითა, რომ ყოველი თამაშისთვის აუცილებელია სერიოზული მზადება, ფეხბურთელთა შორის საჭიროა განმტკიცდეს პასუხისმგებლობისა და პატრიოტიზმის გრძნობა. თითოეულ მოთამაშეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ვალდებულია ღირსეულად ატაროს საბჭოთა სპორტის დროშა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტადიონებზე.

აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისთვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მძლავრი საშუალებაა. რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში მისი ფართოდ დანერგვისთვის გარკვეულ მუშაობას ატარებენ. ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებში, სასწავლებლებში, სპორტულ სკოლებში, საქართველოს ნაკრებ გუნდებში ხშირად ეწყობა ლექციები და მოხსენებები, შეხვედრები სპორტის ვეტერანებთან და სხვ. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა უმეტესობა წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სწავლას, შრომასა და სპორტულ სექციებში მეცადინეობას, შეჯიბრებებში მონაწილეობას.

მაგრამ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს სპორტსმენთა აღმზრდელობითი მუშაობის დიდ მნიშვნელობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ფიზკულტურელებთან და სპორტსმენებთან ლექციებისა და მოხსენებების ხშირად კითხვას. ამის შედეგია, რომ ზოგიერთი საწარმოსა თუ სასწავლებლის სპორტსმენები სათანადო შრომისმოყვარეობას არ ავლენენ, კოლექტივის ინტერესებს გულგრილად ეკიდებიან, ყოველდღიურ ცხოვრებაში ზოგჯერ შეუფერებლად იქცევიან, ამხანაგებთან, მწვრთნელებთან უხეშობენ, არღვევენ სპორტულ რეჟიმს.

სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის უკმარობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთი მწვრთნელის პროფესიული მომზადების დონე დაბალია. ისინი არ ზრუნავენ ცოდნის გამდიდრებისთვის, არ ცდილობენ, რომ აღსაზრდელებისთვის ყველაფერში სამაგალითონი იყვნენ, ხშირად თვითონ არღვევენ შრომის დისციპლინას და, მაშასადამე, სპორტსმენთა მიმართაც სათანადოდ მომთხოვნი ვერ იქნებიან.

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხებზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დამხმარე საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკური და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, სასწავლებლების წარმომადგენლები, მოწინავე სპორტსმენები — სულ 21 კაცი. საბჭოს დაევალა დროულად შეადგინოს შესაბამისი პერსპექტიული სამუშაო გეგმა და იზრუნოს მისი განხორციელებისთვის.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საბჭოებს დაავალა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის დიფერენცირებული მუშაობის გაუმჯობესებისთვის ადგილებზე შექმნან ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა კომუნისტური აღზრდის დამხმარე საბჭოები.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 2:1

მახარაძელ ფეხბურთელებს, როგორც იტყვიან, დასაკარგი აღარაფერი აქვთ: ისინი ბოლო ადგილზე არიან და მხოლოდ აქტიური თამაშით, გამარჯვებებით შეუძლიათ თავი დააღწიონ სახიფათო ზონას. ამიტომ იყო, რომ მათ პირველივე წუთებიდან შეუტიეს მეტოქეს და აიძულეს იგი დაცვაზე გადასულიყო. მთელი რიგი გამოუყენებელი მომენტების შემდეგ, 39-ე წუთზე, სართანიამ შეძლო გოლის გატანა.

49-ე წუთზე „მერცხალმა“ ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, ამას კი მაშინვე მოჰყვა სააკოვის მიერ გატანილი საპასუხო ბურთი და წონასწორობა აღდგა — 1:1.

საკმაო ხნის მანძილზე მასპინძლები დაბნეული იყვნენ, რამაც „ხაზარის“ თავდამსხმელებს საშუალება მისცა მოპირდაპირე ნახევარზე გადაეტანათ თამაში. მხოლოდ მატჩის დასასრულს გამოასწორა მდგომარეობა „მერცხალმა“, გადავიდა გადამწყვეტ იერიშზე და, როცა შეხვედრის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, კაკალაძემ მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ამ გოლმა მახარაძის გუნდს მოუტანა უაღრესად საჭირო 2 ქულა.

ვ. შავიშვილი.



ასე დამთავრდა: „ფახთაჩი“ (გულისტანი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 3:0, „ჯიზაკი“ (ჯიზაკი) — „ხანკი“ (იანგიარიკი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იანგიერი“	25	14	6	5	47—22	34
„სტროიტ.“	26	13	4	9	52—24	30
„გურია“	25	13	4	8	51—35	30
„ხანკი“	26	11	8	7	37—34	30
„დილა“	25	12	4	9	36—30	28
„მეტალურგი“	25	11	6	8	32—34	28
„პროგრესი“	24	11	3	10	43—37	25
„ჯიზაკი“	24	11	2	11	27—35	24
„შირაკი“	23	10	3	10	33—35	23
„ლოკომოტ.“	23	9	5	9	31—34	23
„ნეფტიან.“	23	9	4	10	28—33	22
„დინამო“ ბ.	24	8	5	11	30—27	21
„ხაზარი“	24	8	5	11	35—38	21
„ფახთაჩი“	24	8	5	11	27—40	21
„დინამო“ ზ.	24	8	4	12	31—42	20
ფიზკ. ინსტ.	24	7	5	12	14—28	19
„მერცხალი“	24	7	5	12	20—40	19
„ავტომობ.“	23	8	2	13	32—38	18

ევროპის ჩემპიონატი

ამ დღეებში შედგა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

III ჯგუფი

ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდმა ბელფასტში უმასპინძლა შვეციის ნაკრებს. სტუმრებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 2:1.

ახლა ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	4	3	0	1	8—4	6
ჩრდ. ირლანდია	4	2	0	2	5—4	4
შვეცია	4	2	0	2	6—6	4
ნორვეგია	4	1	0	3	5—10	2

IV ჯგუფი

დანიის ნაკრებმა კოპენჰაგენში ითამაშა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. ამ შემთხვევაშიც წარმატება სტუმრებს ხვდათ — 1:0.

ესპანეთი	4	2	2	0	6—4	6
რუმინეთი	4	1	3	0	8—3	5
შოტლანდია	4	1	2	1	4—4	4
დანია	4	0	1	3	2—9	1

V ჯგუფი

ჰოლანდიის ქალაქ ნეიმეგენის სტადიონზე 30 ათასი მაყურებელი მიესალმა თავისი ეროვნული გუნდის წარმატებას ფინეთის ნაკრებთან. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1, ამასთან, 3 ბურთი გაიტანა ვილი ვან დერ კაილენმა.

ჰოლანდია	3	3	0	0	10—3	6
პოლონეთი	3	2	1	0	5—1	5
იტალია	3	1	1	1	2—3	3
ფინეთი	5	0	0	5	3—13	0

VII ჯგუფი

ნანტში ფრანგმა ფეხბურთელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი ისლანდიის ნაკრებთან. პირველ ტაიმში გატანილ ერთ გოლს მათ შემდგომ კიდევ ორი დაუმატეს და გაიმარჯვეს — 3:0.

ბელგია	3	2	1	0	4—1	5
საფრანგეთი	4	1	2	1	6—4	4
ისლანდია	5	1	2	2	3—7	4
გდრ	4	0	3	1	4—5	3

დანიშვნები, წოდების მინიჭება...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მძლეოსნობაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორად დაამტკიცა სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი ნადეჟდა პავლეს ასული დვალიშვილი.

* * *

კოლეგიამ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით კომიტეტის მასობრივი და სპორტის საწყლოსნო სახეობების განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლა არკადი ნიკოლოზის ძე არხანგელსკი.

კოლეგიამ მასობრივი და სპორტის საწყლოსნო სახეობების განყოფილების უფროსად დაამტკიცა ავთანდილ ლევანის ძე მჭედლიშვილი.

* * *

კოლეგიამ კადრების, სპეციალური მუშაობისა და დაჯილდოების განყოფილების უფროსის თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა შოთა სტეფანეს ძე წალდაძე.

ამ განყოფილების უფროსად დაინიშნა გაიოზ მიხეილის ძე მძელური.

* * *

კოლეგიამ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან გაათავისუფლა აკაკი ვარდენის ძე დოკვაძე და ამ ფაკულტეტის დეკანად დაამტკიცა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გურამ მელიტონის ძე თელია.

* * *

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდის კარგად მომზადებისთვის კოლეგიამ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბუსლაევს მიანიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

მოსკოვში — 0:0

3 სექტემბერს მოსკოვში შედგა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს შორის.

სტუმრებმა ძლიერი შემადგენლობა ჩამოიყვანეს მოსკოვში. საკმარისია ითქვას, რომ მათ რიგებში იყვნენ ცნობილი ფეხბურთელები კროი, კურბიუვაიტი, ჰოფმანი, შტრაიხი, ფოგელი, შპარვასერი...

მატჩი მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. მასპინძლებს რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშა მეკარე კროიმ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: პროხოროვი, უტკინი, ნიკულანი, ლოვჩევი, ოსიანინი, მაქსიმენკოვი, მინაევი, ჩესნოკოვი, სახაროვი, გლადილინი (ფილატოვი), ფიოდოროვი; გდრ-ის ნაკრები — კროი, ფრიჩე, დერნერი, ვაიზე, კურბიუვაიტი, ტერლეცკი, ჰოფმანი, ზეგუინი (ვებერი), შტრაიხი, პომერენკე (შპარვასერი), ფოგელი.

დრეზდენში — 2:2

აქ ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა, მაგრამ ორივე გუნდის კარში 2-2 ბურთი გავიდა.

ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა მასპინძელთა გუნდის ნახევარმცველმა შმუკმა, რასაც საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი ბურთით უპასუხეს: 68-ე წუთზე თანაფარდობა კოვალიოვმა აღადგინა, ხოლო 79-ე წუთზე კრუგლოვმა მეორედ აიღო გერმანელთა კარი. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბორნშაინმა კიდევ ერთხელ გააწონასწორა მდგომარეობა.

ამხანაგური შეხვედრები

ვენა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი — გფრ-ის ეროვნული გუნდი და ავსტრიის ნაკრები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს გერმანელებმა, ამასთან, ორივე ბურთი გაიტანა ბეერმა, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა დაშავებული ბეკენბაუერი.

კრაკოვი. მატჩი პოლონეთის ნაკრებსა და გფრ-ის კლუბ „ჰანოვერ 96“-ს შორის ფრედ დამთავრდა — 2:2.

ბაზელი. შვეიცარიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს — 2:1.

✦ საჩხერე

საინტერესოდ მიმდინარეობდა ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საჩხერის საწარმო-დაწესებულებათა გუნდები. კარგი მომზადება გამოავლინეს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქკოლსაშენმრეწვის სარაიონთაშორისო კომბინატის გუნდები.

ბ. ანასაშვილი.

ЧЕМПИОНАТ МИРА ПО БОРЬБЕ · МИНСК · 75

ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა

ეს იყო საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომა. აგვისტოს მიწურულს მინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ჟუკოვსკიმ მოიწვია ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ყველა სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან საქმიანი საუბარი გამართა.

სპორტის სასახლის დირექტორმა ვ. შილინმა განაცხადა, რომ უკვე დამთავრდა სამლეიბიანი სარბიელის რეკონსტრუქცია, მოეწყო სპეციალური ტრიბუნა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის, საპატიო სტუმრებისთვის, ტელე- და რადიოკომენტატორებისთვის. ორი სპორტული დარბაზი დროებით გასახდელებად გადაკეთდა.

ბელორუსიის სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ი. კვაშამ გააკეთა ინფორმაცია კავშირგაბმულობის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. მან დამსწრეთ უამბო იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდება საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

სამედიცინო-სანიტარული სამსახურის პრობლემებზე ილაპარაკა რესპუბლიკის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმმა კ. ზაბაროვსკიმ.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს ინფორმაცია მიაწოდეს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის მიიღებს საზეიმო ელფერს ბელორუსიის დედაქალაქი, სად ისაუზმებენ, ისადილებენ თუ ივახშმებენ ჩემპიონატის მონაწილენი. ჟურნალისტები და სტუმრები, რა სუვენირები დამზადდება და როგორ გაიყიდება...

ბელორუსიის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჩანინმა დამსწრეთ მოუთხრო მსოფლიო ჩემპიონატების პროპაგანდის გეგმებზე.

სხდომაზე განიხილეს პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების, ბელორუსიის უნივერსიტეტის, „შრომითი რეზერვების“ სპორტული ბაზების მომზადების საკითხი. ეს ბაზები ჩემპიონატების მონაწილეებს სავარჯიშოდ გადაეცემათ.

საორგანიზაციო კომიტეტმა შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

მწვრთნელები „კარტებს ხსნიან“

მინსკში 11 სექტემბერს დაიწყება და 21 სექტემბრამდე გასტანს მსოფლიოს ჩემპიონატები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში. გუნდებმა უკვე დაამთავრეს სამზადისი და ახლა გზაში არიან. რა გეგმებით ჩადიან სტუმრები მინსკში? დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მსოფლიოს ორი უძლიერესი ნაკრების — ბულგარეთისა და იაპონიის გუნდების მწვრთნელთა მოსაზრებებს თავიანთს კოლექტივებსა და მეტოქეებზე.

ცენო ცონევი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრია. იგი ბევრს მოგზაურობს, ესწრება ყველა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან ტურნირს და ამიტომაც ყველა სიახლის საქმის კურსშია. მისი აზრით, მინსკის ჩემპიონატი სამაგალითო იქნება არა მარტო შინაარსითა და ტექნიკური ღირსებებით, არამედ ორგანიზაციის მხრივაც.

— მე ბევრ ტურნირს დავსწრებივარ საბჭოთა კავშირში და შემიძლია ვთქვა, რომ იქ ჭიდაობის ფასიც იციან და შეჯიბრების მოწყობაც.

ბულგარელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის სამივე სახეობაში. ისინი დიდი იმედებით მოემგზავრებიან საბჭოთა კავშირში და არც თუ უსაფუძვლოდ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბულგარელი ათლეტები დღეისთვის II ადგილზე არიან სსრ კავშირის შემდეგ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ხოლო სამბოში მხოლოდ ორ კოლექტივს ჩამორჩებიან: ისევ სსრ კავშირსა და მონღოლეთს.

ცონევმა კონკრეტული არაფერი თქვა თავისი გუნდის შემადგენლობაზე. მან მხოლოდ ხაზი გაუსვა იმას, რომ ნაკრებში ბევრი ახალგაზრდაა. ამ ახალგაზრდებმა გამოცდილ ათლეტებთან ერთად უნდა დაამტკიცონ, რომ ბულგარეთს შესწევს უნარი მეტოქეობა გაუწიოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას.

და მაინც, მწვრთნელი მეტ იმედს ძველი გვარდიის ღირსეულ წარმომადგენლებზე ამყარებს. ესენი არიან, პირველ ყოვლისა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში პ. კიროვი (52 კგ), მისი თანაგუნდელი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ა. ტომოვი (მძიმე წონა), აგრეთვე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ჰ. ისაევი (48 კგ).

ვის მიიჩნევს ბულგარელი სპეციალისტი მთავარ მეტოქეებად? პირველ ყოვლისა, სსრ კავშირს, რომელიც, ცხადია, შინ ერთი ორად უკეთ იასპარეზებს. ძლიერ მოჭიდავეებს ჩაიყვანს ბელორუსიის დედაქალაქში იაპონიაც, მაგრამ მის სუსტ მხარეს, ტრადიციულად, მაღალი წონითი კატეგორიების ათლეტები შეადგენენ. ანგარიში უნდა გაეწიოს ირანს და განსაკუთრებით თურქეთს, რომელმაც, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს დააღწია თავი ხანგრძლივ კრიზისს.

უფრო კონკრეტული ხასიათის იყო იაპონელი მწვრთნელის, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრის სოძო სასახარას ინტერვიუ. იგი დაუფარავად ლაპარაკობდა თავისი გუნდის შემადგენლობაზე და მის წევრთა შანსებზე. მაგალითად, სასახარამ თქვა, რომ თავისუფალ ჭიდაობაში იგი, სულ ცოტა, ორ მედალს ვარაუდობს, ერთი უნდა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონმა ი. ტაკადამ (52 კგ), მეორე — იმავე ტურნირის ვერცხლის პრიზიორმა ი. სუგახარამ (68 კგ). გუნდში არიან სხვა გამოცდილი ათლეტებიც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს იაპონიის ბოლო ჩემპიონატში. არ არის გამორიცხული, რომ ისინიც მიიღებენ მონაწილეობას მედლების განაწილებაში. ეს განსაკუთრებით ეხება გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრს, 22 წლის ი. მაეკავას.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში მოხვდნენ: აზიის თამაშების ჩემპიონი, 27 წლის კ. ისიდა (48 კგ), იაპონიის ბოლო სამი ჩემპიონატის უცვლელი ფავორიტი ი. ხაგაშიტო (74 კგ) და პერსპექტიული დებიუტანტი, 19 წლის ი. ფუძიმორე. ამ უკანასკნელმა, მართალია, ქვეყნის ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი დაიკავა, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც ჩარიცხეს შემადგენლობაში, როგორც მთავარი ოლიმპიური იმედი.

კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში იაპონელთა მთავარ მეტოქეებად სასახარას სსრ კავშირის, ბულგარეთისა და ირანის კოლექტივები მიაჩნია. რაც შეეხება სამბოს, აქ იაპონელები ოცნებობენ მხოლოდ ერთ ვერცხლის მედალზე. „ჩვენში, იაპონიაში, — თქვა სასახარამ, — სამბო ახალი ხილია. ამიტომაც ახალგაზრდობა გაუბედავად ეუფლება მას, მხოლოდ ძიუდოში გამობრძმედილი ათლეტები ჰბედავენ სამბოში ასპარეზობას, მაგრამ ისინი, ცხადია, არც ისე ახალგაზრდები არიან. როგორც ჩანს, იაპონიის სამბოს ფედერაციამ ამთავითვე უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ სამბოში თავიდანვე ჩაება ახალგაზრდობა“.

„ლელოს“ მიმომხილველი.

ამერიკელთა ვარაუდი

ნიუ იორკი, 5 სექტემბერი. აშშ-ს მოჭიდავეები დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდნენ მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც რამდენიმე დღეში დაიწყება მინსკში. ახლა ისინი ბოლო მეცადინეობებს ატარებენ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს აშშ-ს ათლეტური სამოყვარულო კავშირის ჭიდაობის სამმართველოს დირექტორმა, კავშირის ეროვნულმა ადმინისტრატორმა სპორტის ამ სახეობაში ჯონ დასტინმა.

— ამერიკელი „კლასიკოსები“, — განაგრძო დასტინმა, — ახლა პოლონეთში არიან, სადაც ცდილობენ ჩასწვდნენ, როგორც ჩვენში ხშირად ამბობენ, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის საიდუმლოებას. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შინ დარჩენა ამჯობინეს, ალბათ ფიქრობენ, ჩვენ თვითონ შეგვიძლია სხვებს ვასწავლოთ ბევრი რამე, — იხუმრა დასტინმა. — რაც შეეხება სამბისტებს, ჩვენგან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი ჭაბუკი, რომელთათვისაც მინსკის მსოფლიო ჩემპიონატი პირველი სიმწიფის გამოცდა იქნება. იგივე შეიძლება ითქვას „კლასიკოსებზე“: ამ სახეობაში დიდი იმედები არა გვაქვს. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების მანძილზე ამერიკელი „კლასიკოსი“ მხოლოდ ერთხელ გავიდა საპრიზო ადგილზე.

— ჩემი აზრით, — თქვა დასტინმა, — მინსკში ჩვენი მოჭიდავეები მდიდარ გამოცდილებას შეიძენენ, პირველ ყოვლისა საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრის წყალობით. ყველაზე დიდ იმედს თავისუფალი სტილის მოჭიდავენი გვაძლევენ. ჭიდაობის ეს სახეობა უფრო ახლოა ამერიკელებთან, უფრო მეტად შეეფერება ჩვენს ტემპერამენტს. შემთხვევითი როდია, რომ იგი ძალიან პოპულარულია აშშ-ს სტუდენტ ახალგაზრდობას შორის. ბოლო წლებში, ამ სახეობაში საბჭოთა მოჭიდავეებთან რეგულარული შეხვედრების დაწყების შემდეგ, ჩვენი ათლეტების ოსტატობა ამაღლდა. ძალიან გვინდა, რომ ეს კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდეს, — ხაზგასმით აღნიშნა დასტინმა.

საკდესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მეიპლ-ლეიკს (პენსილვანიის შტატი), სადაც აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ემზადება. ტელეფონთან მოვიდა ამერიკის ნაკრების მენეჯერი როს პაუკი.

— ჩვენი ბიჭების უდიდესი სურვილია მინსკში კარგად გამოსვლა. გუნდში არიან ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც. ნაკრების ლიდერები მართლაც უძლიერესი მოჭიდავეები არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მინსკში გამოვა ყველა ჩვენი ვარსკვლავი, გარდა ოლიმპიურ ჩემპიონ გეიბლისა (იგი ახლა მწვრთნელად მუშაობს) — მსოფლიო ჩემპიონი კიზერი, ოლიმპიური პრიზიორები, ძმები პიტერსენები, თბილისის ამასწინანდელ ტურნირში გამარჯვებული ჰელიქსონი. მთავარ მეტოქედ მიგვაჩნია საბჭოთა მოჭიდავეების ბრწყინვალე გუნდი. სსრ კავშირის ნაკრების გარდა, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ ბულგარეთის, ირანის, იაპონიის, რუმინეთის, გდრ-ისა და თურქეთის გუნდები. ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ ვეცდებით არც ჩვენ შევირცხვინოთ თავი.

ვ. ბაიდაშინი.
(საკდესის კორ.).

ოთხი ყაიმი

მილანის დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში დაიწყო ნახევარფინალური მატჩები. როგორც ცნობილია, პრეტენდენტებს შორის უნდა გათამაშდეს ოთხ-ოთხი პარტია.

პირველ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან ჩვეულებრივ, მეფის პაიკის წინსვლით დაიწყო თამაში. ამაზე პეტროსიანმა უპასუხა მისთვის უჩვეულო ესპანური პარტიით. დებიუტი სწრაფად გაითამაშეს. როცა ერთ-ერთი ვერტიკალი გაიხსნა, მეტოქეებს უნდა გადაეწყვიტათ, ამ ერთადერთ ხაზზე გაერთულებინათ ბრძოლა, თუ მძიმე ფიგურები გაეცვალათ. ორივე მოჭადრაკემ მეორე გზა აირჩია. 29-ე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა მიიღო ექს-ჩემპიონის მიერ შეთავაზებული ყაიმი.

უნგრელ ლ. პორტიშთან პარტიაში იუგოსლაველმა ლ. ლიუბოევიჩმა ლაზიერის გამბიტის ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ პოპულარული სისტემა გამოიყენა და უპირატესობასაც დაეუფლა. მაგრამ პორტიში ზუსტად იცავდა თავს და 47-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მეორე პარტიაში პეტროსიანმა თეთრებით სცადა გაეძლიერებინა ახალინდური დაცვის ვარიანტი, რომელიც კორჩნოისა და კარპოვის მატჩში იყო გამოყენებული. მსოფლიო ჩემპიონმა, მიუხედავად შევიწროებული პოზიციისა, სწრაფად გადააჯგუფა ფიგურები, ეტლები გააორა და განაპირა ვერტიკალის გახსნას ხელი შეუშალა. როცა პეტროსიანმა ლაზიერების ფლანგი ჩაკეტა და მეფის ფრთაზე აქტიურობის გამოჩენა სცადა, კარპოვი აქაც მზად აღმოჩნდა ბრძოლისთვის. პოზიცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ყაიმი გარდაუვალი გახდა. ზავი 33-ე სვლაზე დაიდო.

ლიუბოევიჩი ენერგიულად უტევდა პორტიშს ესპანურ პარტიაში. შავებით მოთამაშე უნგრელი დიდოსტატი არა მარტო მეტოქის შეტევებს იგერიებდა, არამედ გარკვეულ პოზიციურ სარგებლობასაც ნახულობდა.

მწვავე პოზიციაში იუგოსლაველი მოჭადრაკე 31-ე სვლაზე დათანხმდა ყაიმზე.

ამრიგად, ორივე ნახევარფინალურ მატჩში ანგარიში საყაიმოა — 1:1.

მოგაგონებთ, რომ, თუ ოთხივე პარტია ყაიმით დასრულდა, ფინალის საგზურებს მიიღებენ კარპოვი და პორტიში, ვინაიდან კარპოვს ბერგერის ცხრილით უპირატესობა აქვს მეტოქესთან შედარებით, ხოლო პორტიშმა უკეთესად ითამაშა წინასწარ ტურნირში.

გურიელი — ფინალში

ლენინგრადი, 4 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). როგორც აქ ცნობილი გახდა, ფრუნზეში გაიმართება სსრ კავშირის ქალთა ფინალური პირველობა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ქართველი მოჭადრაკე ნინო გურიელი. ეს უფლება მან მოიპოვა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად პირველობაში, რომელიც ამავე დროს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალად ითვლება.

დაიწყო შეიარაღებული ძალების გუნდური პირველობა, რომელშიც რვა კოლექტივი მონაწილეობს.

I ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლენინგრადისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების გუნდების შეხვედრა. გუფელდ — ცეიტლინის, ბუხმან (ორივე — ლენინგრადი) — იზვოზჩიკოვის, ხანთაძე — სოჩავინის (ლენინგრადი) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გურიელმა დაამარცხა ჩირეიკინა. ჩაიკოვსკაია — ლევიტინას (ლენინგრადი) და ნეყრონოვ — შაშინის (ლენინგრადი) პარტიები გადადებულია, სადაც უპირატესობა ამიერკავკასიის ოლქის წარმომადგენელთა მხარეზეა. გოკუჩავას უარეს პოზიციაში აქვს გადადებული პარტია.

მოსკოვისა და ოდესის ოლქების გუნდების შეხვედრაში ჯერჯერობით ანგარიშია 2:2 (სამი პარტია გადადებულია).

შორეული აღმოსავლეთისა და იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქების შეხვედრაში ანგარიშია 2:2 (3 პარტია გადაიდო).

3 ტურის შემდეგ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ო. ალხანიშვილი.

გადამწყვეტი შეხვედრების წინ

ლენინგრადი, 4 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე აქ მიმდინარე რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირში დღეს და გუშინ კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. აუტსაიდერი — ჩეხოსლოვაკიის გუნდი ორივე მატჩში მონაწილეობდა და ორივეჯერ დამარცხდა.

გუშინ ჩეხოსლოვაკიელთა მეტოქე იყო რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრები. შეხვედრა დაიწყო თუ არა, რუმინელთა კარისკენ დაინიშნა საჯარიმო, რომელიც ი. ზბოშილმა ზუსტად გამოიყენა — 3:0. წარუმატებლობამ რუმინელთა მწვრთნელი ი. ცუცუიანუ, რომელიც მისი გუნდის სსრ კავშირის მეორე (ახალგაზრდულ) ნაკრებთან წაგების შემდეგ ძალიან განაწყენებული იყო, ახლა მდგომარეობას გულდამშვიდებული შესცქეროდა.

— გუშინწინდელი შეცდომა არ გამეორდება, ჩემი ბიჭები დღეს გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებენ, — თქვა მან, როგორც კი ზბოშილმა ანგარიში გახსნა.

მართლაც, რუმინელი რეგბისტები პირველ მარცხს არ შეუშინდნენ და მეტოქეს ზედიზედ შეუტიეს, მაგრამ მათს თამაშში ზედმეტი ფუსფუსი იგრძნობოდა. მართალია, გუნდმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ წარმატება დიდხანს არ ჩანდა. შუა ტაიმში რუმინელთა მთავარმა ბომბარდირმა თ. კორნელიუმ მოახერხა ბურთიანად მეტოქის ჩათვლის მოედანზე შესულიყო, შემდეგ კი მანვე რეალიზაციაც ზუსტად შეასრულა და ანგარიში 6:3 გახდა. შესვენებამდე საბჭოთა არბიტრმა ა. გრუმბინასმა ჩეხოსლოვაკიელები დააჯარიმა და მ. კირიჩესკუმ რუმინელთა კოლექტივი კიდევ უფრო დააწინაურა — 9:3.

მეორე ტაიმი რუმინეთის გუნდის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და შეხვედრაც მისი გამარჯვებით დასრულდა — 17:3.

დღეს ჩეხოსლოვაკიელების წინააღმდეგ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები თამაშობდა. სტუმრებმა ეს მატჩი განსაკუთრებით მონდომებით ჩაატარეს, მაგრამ წაგებას თავი მაინც ვერ დააღწიეს. მასპინძელთა ყველა შეტევის ორგანიზატორი იყო კიეველი ა. გონიანი. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა შეხვედრა მოიგო (29:12) და ლიდერი გახდა.

ხვალ ბოლო შეხვედრები გაიმართება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი II	3	2	1	0	44:21	5
რუმინეთი	3	2	0	1	40:21	4
პოლონეთი	3	2	0	1	57:41	4
სსრ კავშირი I	3	1	1	1	49:27	3
ჩეხოსლოვაკია	4	0	0	4	21:101	0

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

[illegible]-75

● მოსკოვი, 3 სექტემბერი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელმაც ორ დღეს გასტანა. ტურნირი საბჭოთა სპორტსმენების სრული უპირატესობით აღინიშნა: ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და კანადის წარმომადგენლებმა მათ სერიოზული მეტოქეობა ვერ გაუწიეს. სტავროპოლელმა ნ. კრაშენინიკოვამ ტურნირის უმაღლესი შეფასება (9,9 ქულა) მიიღო ლენტით ვარჯიშში, სხვა სახეობებშიც ჩინებულად იასპარეზა და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი — 39,5 ქულა. II ადგილზეა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, კიეველი ი. დერიუგინა (38,95), ხოლო III — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ომსკელი გ. შუგუროვა (38,7). ეს შეჯიბრება საუცხოო რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ნოემბერში გაიმართება მადრიდში.

● ვროცლავი, 4 სექტემბერი. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატში საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კარგად აიღო სტარტი: ანგარიშით 130:49 (64:23) დაამარცხა ესპანეთის გუნდი. ამ ტრადიციულ, რიგით მე-10 ტურნირში ამჯერად 14 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ.

● ლონგ ბიჩი (კალიფორნიის შტატი), 4 სექტემბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები, როგორც ცნობილია, ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სტუმრებმა მეორე მატჩი აქ გამართეს და სულ რაღაც 57 წუთში ძლიეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს — 3:0 (15:4, 15:3, 15:3).

თბილისი სპორტულ [illegible]

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 6 სექტემბერი. უნივერსიტეტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი). დასაწყისი 17 ს. 7 სექტემბერი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). 12 ს. „ლოკომოტივის“ ცენტრალური სტადიონი. ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (გროზნო). 18 ს.

ИНДЕКС 66418

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03986